



№1-25/38

22/12/2023

**რეცენზია კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის
(პროტოკოლის) და კლინიკური გზამკვლევის „გულ-სისხლძარღვთა დაავადებების
რისკის შეფასება და მართვა პირველად ჯანდაცვაში“ შესახებ**

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირს რეცენზირებისთვის წარედგინა პროტოკოლი და კლინიკური გზამკვლევი „გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასება და მართვა პირველად ჯანდაცვაში“. წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვა განხორციელდა ექსპერტი ოჯახის ექიმი-მასწავლებლების მიერ.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მონაცემების მიხედვით გულ-სისხლძარღვთა დაავადებები (გსდ) გლობალურად სიკვდილიანობის მთავარ მიზეზად რჩება და აბსოლუტურ რიცხვებში გსდ-ებით ყოველწლიურად მსოფლიოში 17.9 მილიონი ადამიანი გარდაიცვლება. ჯანმო-სვე განცხადებით გსდ-ებით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილიანობის ეფექტური პრევენცია შესაძლებელია პირველადი ჯანდაცვის დონეზე, შესაბამისი რისკ-ფაქტორების დროული ამოცნობისა და მათი მკურნალობის/მართვის საფუძველზე (https://www.who.int/health-topics/cardiovascular-diseases/#tab=tab_1).

როგორც ცნობილია, საქართველო განეკუთვნება მაღალი კარდიო-ვასკულური რისკის ქვეყანათა რიგს და გსდ-ების რისკფაქტორების დროული ამოცნობა და ეფექტური მართვა უახლესი მტკიცებულებების საფუძველზე, ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება. პროტოკოლი და გზამკვლევი „გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასება და მართვა“ წარმოადგენს დღეისათვის ხელმისაწვდომ უახლეს, სარწმუნო მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების ამსახველ სახელმძღვანელოებს პირველადი ჯანდაცვის სფეროში მომუშავე ექიმებისთვისა და სხვა სამედიცინო პერსონალისთვის (ოჯახის ექიმი, თერაპევტი, უმცროსი ექიმი, რეზიდენტი, ექიმი სპეციალისტი, ექთანი).

პროტოკოლი ძირითადად, ეყრდნობა ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის 2021 წლის გაიდლაინს კლინიკურ პრაქტიკაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენციის შესახებ. ასევე, გამოყენებულია: 2018 წლის კანადის ჰარმონიზებული ნაციონალური რეკომენდაციების გაიდლაინი გსდ რისკის პრევენციის შესახებ პირველად ჯანდაცვაში; ამერიკის დიაბეტის ასოციაციის 2023 წლის გაიდლაინი გულ სისხლძარღვთა დაავადებებისა და რისკის მართვაზე; ბრიტანეთის ჯანმრთელობისა და კლინიკური დახელოვნების ეროვნული ინსტიტუტის (NICE) 2023 წლის გსდ რისკის შეფასებისა და პრევენციის გაიდლაინი; uptodate-ს რეკომენდაციები და მსგავს თემაზე, სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო წყაროების უახლესი მეცნიერული მტკიცებულებები და ეროვნული პროტოკოლები.

პროტოკოლში მოცემული რეკომენდაციები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. მასში დეტალურადაა განხილული გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასების მეთოდოლოგია, ძირითადი


რისკფაქტორების - თამბაქოს მოწევის, ფიზიკური აქტიურობის, სხეულის წონის, არტერიული წნევის, ლიპიდების და სხვ. სამიზნე მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ დეტალურად არის განხილული ის სიახლეები, რაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასებასა და მართვაში განხორციელდა 2021 წლის შემდეგ (მაგალითად, განახლებული SCORE2 და SCORE-OP სქემები, გსდ რისკის შეფასება არა მხოლოდ პრაქტიკულად ჯანმრთელ პირებში, არამედ ხანდაზმულებსა და პაციენტებში დადგენილი ათეროსკლეროზული გსდ-ით და სხვა).

პროტოკოლთან ერთად ავტორთა მიერ შემუშავებულია გსდ რისკის შეფასებისა და მართვის კლინიკური გზამკვლევი. გზამკვლევი წარმოადგენს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის საფუძველზე შემუშავებულ მართვის ალგორითმს პაციენტებისთვის გულ-სისხლძარღვთა ფატალური და არაფატალური შემთხვევების რისკით, რომელიც მოიცავს ამ პაციენტთა მდგომარეობის მართვის ეტაპებს და მოქმედებათა თანმიმდევრობას, აღწერს ინტერვენციების ნაკრებს კლინიკური მართვის პროცესების ორგანიზებისთვის. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ათეროსკლეროზული გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკის შეფასებისა და მართვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჩარევების დანერგვას, გსდ რისკის მულტიდისციპლინური მართვის პრინციპების განხორციელებას და ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა რგოლებს შორის ეფექტურ კოორდინაციას, რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა დონეებს შორის მომსახურების ფრაგმენტაციას, დადებით ზეგავლენას მოახდენს საავადმყოფოს რესურსებზე და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსავლებზე, გააუმჯობესებს ათეროსკლეროზული გსდ ფატალური და არაფატალური შემთხვევების პრევენციას, კლინიკურ გამოსავლებს და პაციენტის გამოცდილებას.

პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის სასარგებლო იქნება პროტოკოლსა და გზამკვლევაში ასახული რეკომენდაციები იმ თანმხლები დაავადებების გათვალისწინების შესახებ, რომელთაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ გსდ რისკის მაჩვენებელზე, მაგ.: თირკმლების ქრონიკული დაავადება, კიბოს გამო ჩატარებული ქიმიო- ან რადიოთერაპია და ა.შ.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი პროტოკოლი და კლინიკური გზამკვლევი „გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასება და მართვა“ წარმოადგენს კარგად მომზადებულ სახელმძღვანელო დოკუმენტებს პირველადი ჯანდაცვის ექიმებისთვის, და მათი დროული დანერგვა ხელს შეუწყობს კარდიო-ვასკულური დაავადებებით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირებას.

ამდენად, რეკომენდაციას ვუწევთ პროტოკოლის და გზამკვლევის დამტკიცებას წარმოდგენილი ფორმით.

ასოციაციის ექპერტების სახელით,  / უმანგი კილაძე /
საბჭოს თავმჯდომარე

